ჩემპიონატი

თბილისის “დინამომ” კვლავ წააგო მატჩი მოსკოვის “სპარტაკთან”

27 ოქტომბერს მოსკოვის “დინამოს” სტადიონზე ჩატარდა მიმდინარე წლის საკავშირო პირველობის გათამაშების მორიგი კალენდარული შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ სსრკ 1938 წლის ჩემპიონი – **მოსკოვის “სპარტაკისა” და თბილისის ”დინამოს**” გუნდები. მატჩი დამთავრდა მოსკოვის “სპარტაკის” გამარჯვებით, ანგარიშით – 3:0.

მიმდინარე წლის თასისა და პირველობის გათამაშებაში თბილისის დინამოელებმა მეორედ განიცადეს დამარცხება მოსკოვის “სპარტაკისაგან”. ამ მატჩის მოგებით სპარტაკელებმა მოაგროვეს ყველაზე მეტი (31) ქულა. ამჟამად, ისინი გათამაშების ლიდერები არიან და აქვთ დიდი შანსი მოიპოვონ სსრკ 1939 წლის ჩემპიონის სახელწოდება.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 28 ოქტომბერი, 1939 წ.